




Liberté • Égalité • Fraternité


RÉPUBLIQUE FRANÇAISE

MINISTÈRE DE L'INTÉRIEUR

Direction générale des étrangers en France




თავმესაფრის
მადიებლის
გზამკვლევი



სარჩევი


- 1. მფარველობის ნაირსახეობები4
 - 1.1. ლტოლვილის სტატუსი4
 - 1.2. შენაცვლებითი (სუბსიდიალური) მფარველობა.....4
 - 1.3. მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი4
- 2. პროცედურაზე დაშვება და ტეროტორიაზე დარჩენის უფლება6
 - 2.1. თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენა6
 - 2.2. საფრანგეთის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება.....7
- 3. თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პირობები9
 - 3.1. საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის ოფისის (OFPRA) მიერ საქმის განხილვა9
 - ოფისის სათანადო ფორმულარის შევსება.....9
 - ოფისში საქმის გადაგზავნა.....9
 - ოფისის მიერ საქმის მიღების შესახებ საბუთის გაცემა10
 - მოთხოვნის ჩვეულებრივი ან დაჩქარებული პროცედურით განხილვა10
 - ოფისში გასაუბრება10
 - ოფისის გადაწყვეტილება.....11
 - 3.2. ოფისის მიერ უარის თქმის შემთხვევაში ლტოლვილთა ეროვნული სასამართლოს მიერ (CNDA) საქმის განხილვა12
 - საჩივრის წარდგენის ვადები12
 - საჩივარი.....12
 - საჩივრის მიღების შესახებ საბუთის გაცემა.....13
 - ვეჭილის დახმარება13
 - სასამართლო მოსმენა13
 - სასამართლოს გადაწყვეტილება.....14
 - 3.3 საჩივრის მიუღებლობა და თავშესაფრის მოთხოვნის დასრულება14
 - საჩივრის მიუღებლობა14
 - თავშესაფრის მოთხოვნის დასრულება.....15
 - 3.4. მეორადი განხილვა15
- 4. თავშესაფრის მაძიებლის მარშრუტი17
 - 4.1. თავშესაფრის მაძიებლის დაკვალიანება.....17
 - პირველი მიღება და დაკვალიანება17
 - მიღების მატერიალური პირობები18
 - საჭიროებების შეფასება და გათვალისწინება19
 - 4.2. თავშესაფრის მაძიებლის საცხოვრებელი ადგილი19
 - საცხოვრებელი ადგილები.....19
 - დასახლებისთვის დაკვალიანება19
 - საცხოვრებლის განთავისუფლება20
- 5. თავშესაფრის მაძიებლის უფლებები.....21
 - 5.1. თავშესაფრის მაძიებლის ფულადი დახმარება (ADA).....21





- დახმარების დანიშვნის პირობები..... 21
- დახმარების მოთხოვნა 21
- დახმარების თანხა 22
- დახმარების მიღება 22
- გასაჩივრება 22
- 5.2. სწავლა-განათლება 23**
- 5.3. ჯანდაცვა..... 23**
 - სასწრაფო დახმარება 23
 - ყოვლისშემოცველი ჯანდაცვის პოლისი (CMU)..... 23
- 5.4. დასაქმების ხელმისაწვდომობა 24**
- 6. თავშესაფრის მოთხოვნაზე უარის შედეგები 25**
 - 6.1. ოფისის ან სასამართლოს უარი 25**
 - 6.2. სამშობლოში ნებაყოფლობითი დაბრუნება 25**
 - 6.3. სამშობლოში იძულებითი დაბრუნება 26**
- 7. თავშესაფრის სტატუსის მქონე პირის უფლებები 27**
 - 7.1. საფრანგეთში ცხოვრება..... 27**
 - 7.2. ოჯახის ცხოვრება საფრანგეთში..... 28**
 - ოჯახის წევრების საფრანგეთში ცხოვრების უფლებები 28
 - ოჯახის ერთობის პრინციპი..... 29
 - 7.3. ინტეგრაცია 29**
 - იმიგრაციის და ინტეგრაციის ოფისთან (OFII) მიღების და ინტეგრაციის ხელშეკრულების დადება 29
 - 7.4. სოციალური უფლებები..... 30**
 - დაბინავების საკითხი 30
 - დასაქმების საკითხი 30
 - ჯანდაცვის საკითხი..... 31
 - სოციალური და საოჯახო დახმარება 31
 - 7.5. საზღვარგარეთ მოგზაურობა..... 31**
 - 7.6. მოქალაქეობის მიღება..... 32**
- დანართი : საჭირო მისამართები 33**
 - 1. მისამართები სახელმწიფო მასშტაბით..... 33**
 - ასოციაციები..... 33
 - 2. მისამართები ადგილობრივი მასშტაბით..... 35**
 - ერთიანი მიმღები პუნქტები 35
 - პრეფექტურები 36
 - იმიგრაციის და ინტეგრაციის ოფისის (OFII) ტერიტორიალური წარმომადგენლობები..... 38





1. მფარველობის ნაირსახეობები

საფრანგეთში მფარველობის 3 სახე არსებობს : ლტოლვილის სტატუსი, შენაცვლებითი (სუბსიდიალური) მფარველობა და მოქალაქეობის არმქონე პირის (აპატრიდის) სტატუსი.

1.1. ლტოლვილის სტატუსი

ლტოლვილის სტატუსი გაიცემა 3 საფუძველზე :

- 1951 წ. 28 ივლისის უენევის კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ. ლტოლვილის სტატუსი მიენიჭება ნებისმიერ პირს, « რომელიც საფუძველიანი შიშის გამო შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით » ;
- კონსტიტუციური თავშესაფარი, 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულის მე-4 პუნქტის თანახმად, მიენიჭება ნებისმიერ პირს « რომელიც ხდება დევნის მსხვერპლი თავისუფლებისთვის საქმიანობის საფუძველზე » ;
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მანდატით, თუ თქვენ მან მოგანიჭათ ლტოლვილის სტატუსი მისი დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე.

1.2. შენაცვლებითი (სუბსიდიალური) მფარველობა

შენაცვლებითი მფარველობა მიენიჭება ნებისმიერ პირს ვინც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პირობებს და ვისთვისაც არსებობს სერიოზული დამაჯერებელი მიზეზები, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში :


- მას ელის სიკვდილით დასჯა ;
- მას ელის ტანჯვა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ;
- მის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე შიდა ან საერთაშორისო კონფლიქტის ფონზე.

საფრანგეთში ლტოლვილის სტატუსს და შენაცვლებით მფარველობას მიანიჭებს საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის ოფისი (OFPRA), ან ლტოლვილთა ეროვნული სასამართლო (CNDA).

1.3. მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი

1954 წლის 28 სექტემბრის ნიუ იორკის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის კონვენციის შესახებ თანახმად მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი მიენიჭება ნებისმიერ პირს « ვისაც არც ერთი სახელმწიფო არ ცნობს თავის მოქალაქედ ». ეს სტატუსი განსხვავდება წინა ორი,





ზემოთაღნიშნული მფარველობისგან და ეხება მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირს. იგი არ ითვალისწინებს დევნის არსებობას. სტატუსი გაიცემა ოფისის (OFPRA) მიერ. მისი გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციულ სასამართლოში.

ზემოთაღნიშნული მფარველობისგან განსხვავებით მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებარს მისი თხოვნის განხილვის პერიოდში საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას არ აქვს.

მის მოსათხოვნად უნდა მიმართოთ არა პრეფექტურას არამედ მინეროთ OFPRA-ს. თხოვნაში თქვენი სახელი, გვარი, მისამართი და მოთხოვნის მიზეზები უნდა ასახოთ.

OFPRA გამოგიგზავნით სათანადო ფორმულარს, რომელსაც შეავსებთ ინფორმაციით თუ რატომ მიგაჩნიათ, რომ არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ გეკუთვნით. ფორმულარს ხელს მოაწეროთ და 2 ფოტო-სურათს, სამგზავრო საბუთს, დაბადების მოწმობას და ვადიან პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლს დაურთავთ. აუცილებელია საბუთები OFPRA-ს დაკვეთილი წერილით (lettre recommandée avec accusé de réception) გაუგზავნოთ.

OFPRA გასაუბრებაზე დაგიბარებთ. თავშესაფრის მაძიებლისგან განსხვავებით, თქვენ არ გაქვთ ვეჭილის ან სხვა დამხმარე პირის თანხლებით გამოცხადების უფლება.


გასაუბრება თქვენთვის გასაგებ ენაზე ჩავიტარდებით.

OFPRA თავის გადაწყვეტილებას დაკვეთილი წერილის მეშვეობით გაცნობებთ.

- ✓ **თუ OFPRA-მ მოგანიჭათ მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი**, თქვენ მოგეცემათ სხვა მფარველობიდან გამომდინარე ანალოგიური უფლებები (იხილეთ პუნქტი 7). მათ შორის პირადობის და სამგზავრო საბუთების მიღება და ნორმალური ოჯახური ცხოვრების წარმართვის უფლება.
- ✓ **თუ OFPRA უარყოფს თქვენს თხოვნას**, თქვენ შეგეძლებათ გაასაჩივროთ უარი თქვენი ადგილმდებარეობის ადმინისტრაციულ სასამართლოში უარის მიღებიდან 2 თვის განმავლობაში.

საჩივარს არ აქვს გადაწყვეტილების დროებითი შეჩერების ძალა. თქვენ შესაძლებელია მოგეთხოვოთ საფრანგეთის ტერიტორიის დატოვება მიუხედავად საჩივრის განხილვისა.





2. პროცედურაზე დაშვება და ტეროტორიაზე დარჩენის უფლება

თუ გსურთ საფრანგეთში თავშესაფრის მოთხოვნა, თქვენ უნდა მიმართოთ OFPRA-ს. თავშესაფრის მოთხოვნა შესაძლებელია საფრანგეთის ტერიტორიაზე კანონიერად და ასევე უკანონოდ ყოფნისას.

ვიზის ფლობის შემთხვევაში სასურველია თავშესაფრის მოთხოვნა ვიზის მოქმედების ვადის ამონურვამდე.

OFPRA-ში მოთხოვნის გაგზავნამდე საჭიროა დარეგისტრირდეთ ერთიან მიმღებ პუნქტში, რომელზეც დამოკიდებული ბრძანდებით (იხილეთ პუნქტი 4).

პრეფექტურის მიერ თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემოწმების შემდეგ თქვენს პირად მდგომარეობას OFII განიხილავს. პირობების შესრულებისთანავე თქვენ გადმოგეცემთ თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი 1 თვიანი საბუთი, რომელიც ტერიტორიაზე დარჩენის უფლებას მოგცემთ.

2.1. თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენა


იმის გასაგებად არის თუ არა საფრანგეთი თქვენს მიერ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა, პრეფექტურა აგიღებთ თითის ანაბეჭდებს და ჩაგიტარებთ გასაუბრებას, რათა გაირკვეს თქვენი სამშობლოდან საფრანგეთში ჩამოსვლის მარშრუტი და დადგინდეს თუ გაგაჩნიათ ნათესავები ან სხვა ტიპის ურთიერთობა ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან. ამ ინფორმაციის საფუძველზე დადგინება თქვენს მიერ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტის და საბჭოს რეგულაცია n°604/2013-ის თანახმად, რომელსაც სხვაგვარად დუბლინ 3 რეგულაციას უწოდებენ.

ქვეყნები რომელთაც ეხებათ რეგულაცია დუბლინი 3

ევროკავშირის 28 ქვეყანა : გერმანია, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, დანია*, ესპანეთი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, პოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, რუმინეთი, ინგლისი, სლოვაკეთი, სლოვენია და შვედეთი. ასევე ასოცირებული ქვეყნები : ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი.

* დანია 1990 წლის 15 ივნისის დუბლინის რეგულაციას ექვემდებარება





საფრანგეთის გარდა თქვენი მოთხოვნის პასუხისმგებელი სხვა ქვეყანა შეიძლება იყოს თუ მაგალითად:

- სხვა ქვეყანამ გასცა თქვენზე ან პირადობის საბუთი ან ვიზა ;
- თუ დადგინდა, რომ უკანონოდ გადმოკვეთეთ, ჰაერით, ზღვით, ხმელეთით, სხვა ქვეყნის საზღვარი ;
- თუ თქვენ ევროკავშირის ტერიტორიაზე იმ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთით მოხვდით, რომელთანაც თქვენ გაქვთ უვიზო მიმოსვლა ;
- თუ თქვენ მოთხოვნილი გაქვთ თავშესაფარი რომელიმე სხვა ევროკავშირის ქვეყანაში.

სხვა ქვეყნის პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევაში, პრეფექტურა მასთან იწყებს თქვენი გადამისამართების შესახებ მოლაპარაკებებს.

თქვენზე გაიცემა თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც მოგცემთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას სხვა ქვეყანაში გამგზავრებამდე.

გადამგზავრების ორგანიზაციურ საკითხებს მოგვარება პრეფექტურის თანამშრომლებს ეკისრებათ, რომლებიც გადმოგცემენ გადამგზავრების შესახებ გადანყვეტილებას, რომელშიც მითითებული იქნება თქვენი გადამგზავრების დეტალური ინფორმაცია. თქვენ უფლება გაქვთ გაასაჩივროთ ეს გადანყვეტილება ადმინისტრაციულ სასამართლოში 15 დღის განმავლობაში.

თუ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებლობას საფრანგეთი აიღებს, პროცედურა ყვე მოთ ადწერილი გზით წარიმართება (იხილეთ პუნქტი 2.2).

2.2. საფრანგეთის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება

როდესაც დადგინდება, რომ თქვენი მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა საფრანგეთია, თქვენ გადმოგეცემათ ერთ თვიანი თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთი. პრეფექტურამ შესაძლებელია უარი განაცხადოს ამ საბუთის გაცემაზე თუ :


- თქვენ ხელახლა ითხოვთ განმეორებით განხილვის (იხილეთ პუნქტი 3.4.) ;
- საბოლოოდ გადაწყდა თქვენი სამშობლოში ექსტრადიცია, თქვენი ევროპული მანდატის ფარგლებში გადაცემა, ან თქვენი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემა.

ერთ თვიანი საბუთის გაცემის მერე 21 დღის განმავლობაში თქვენ უნდა გადასცეთ OFPRA-ს თქვენი თქვეშესაფრის მოთხოვნა (იხილეთ 3).

თუ თქვენს მიერ გაგზავნილი მოთხოვნა უნაკლოა, OFPRA ამას წერილობით გიდასტურებთ. წერილი პრეფექტურას უნდა წარუდგინოთ, რათა გაგირძეოდეთ ერთ თვიანი საბუთი.

ეს საბუთი გიგრძელდებათ მანამ სანამ OFPRA თქვენს თხოვნაზე უარს არ განაცხადებს, ან სანამ, CNDA-ში საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სასამართლო თავის განაჩენს არ გაცნობებთ (იხილეთ პუნქტი 3.2).





საბუთის ყოველი გაგრძელებისას თქვენ მოგეთხოვებათ რიგი საბუთების წარდგენა, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთისა და თქვენი მიმღები სტუქტურისა.

პირველად განახლებული საბუთის ვადაა 9 თვე ჩვეულებრივი პროცედურით, დაჩქარებული პროცედურით კი 6 თვე.

შემდგომში, განახლებული საბუთის ვადაა 6 თვე ჩვეულებრივი პროცედურით, დაჩქარებული პროცედურით კი 3 თვე.

სხვა ქვეყნის პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევაში პირველი გაცემული საბუთის ვადაა 1 თვე, განახლებულის კი 4 თვე. (იხილეთ პუნქტი 2.1).


ყურადღება: თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი მონმობა არ გაძლევთ სხვა ევროკავშირის ქვეყნებში მოძრაობის უფლებას.

პრეფექტურას უფლება აქვს ჩამოგართვათ, ან არ გაგიგრძელოთ თავშესაფრის მოთხოვნის საბუთი თუ :

- OFPRA-მ განაცხადა თქვენი მოთხოვნის მიუღებლობა (იხილეთ პუნქტი 3.3.) ;
- თქვენ აცნობეთ OFPRA-ს თქვენი მოთხოვნის შეჩერების სურვილი (იხილეთ პუნქტი 3.3.) ;
- OFPRA-მ დახურა თქვენი საქმე და თქვენ არ მოითხოვეთ მისი ხელახალი გახსნა (იხილეთ პუნქტი 3.3.) ;
- თქვენ მოითხოვეთ მეორადი განხილვა, რომლის ერთადერთი მიზანი ტერიტორიაზე დარჩენა იყო (იხილეთ პუნქტი 3.4.) ;
- თქვენ ითხოვეთ ხელახალ მეორად განხილვას (იხილეთ პუნქტი 3.4.) ;
- საბოლოოდ გადაწყდა თქვენი სამშობლოში ექსტრადიცია, თქვენი ევროპული მანდატის ფარგლებში გადაცემა, ან თქვენი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემა.

ამ შემთხვევაში თქვენ გევალებათ საფრანგეთის ტერიტორიის დატოვება.





3. თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პირობები

3.1. საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის ოფისის (OFPRA) მიერ საქმის განხილვა

პრეფექტურამ თქვენ თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელ საბუთთან ერთად შესავსები და OFPRA-ში გასაგზავნი ფორმულარი გადმოგცაო.

მოთხოვნაში არ უთითებთ რა სახის მფარველობას ითხოვთ, ლტოლვილის სტატუსს თუ შენაცვლებით მფარველობას. თქვენი მოთხოვნა შეისწავლება ლტოლვილის სტატუსის კუთხით, შემდეგ კი, თუ თქვენი სიტუაცია მის პირობებს არ აკმაყოფილებს, იგი შეისწავლება შენაცვლებითი მფარველობის კუთხით.

თუკი OFPRA არ განიჭებთ მფარველობას, უფლება გაქვთ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება ლტოლვილთა ეროვნულ სასამართლოში - CNDA (იხილეთ პუნქტი 3.2). თქვენ ასევე შეგიძლიათ გაასაჩივროთ იმავე სასამართლოში OFPRA-ის გადაწყვეტილება შენაცვლებითი მფარველობის მონიჭების შესახებ.

თქვენს განაცხადში არსებული ინფორმაცია არავითარ შემთხვევაში არ იქნება გასაჯაროებული. იგი არ გადაეცემა თქვენს სამშობლოს.

■ ოფისის სათანადო ფორმულარის შევსება

ფორმულარი უნდა იყოს შევსებული ფრანგულ ენაზე. მას თან უნდა ერთოდეს თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, 2 ფოტო-სურათი და სამგზავრო საბუთი. ამ საბუთების წარდგენა აუცილებელია თქვენი მოთხოვნის რეგისტრაციისთვის.


■ ოფისში საქმის გადაგზავნა

უნაკლოდ შეკრებილი საქმე უნდა გადაიგზავნოს ფოსტით ქვემოთ მითითებულ მისამართზე პირველი თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთის გაცემიდან 21 დღის განმავლობაში.

OFPRA
201, rue Carnot
94136 FONTENAY-SOUS-BOIS CEDEX

თუ თქვენი საბუთის გაცემის თარიღი 10 იანვარია, OFPRA-ში გაგზავნის ვადა ამოიწურება 31 იანვარს. ფოსტის ბეჭედი დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევა.





გირჩევთ თქვენი წერილი დაკვეთით გააგზავნოთ და გარკვევით დააწეროთ თქვენი გვარი და სახელი გამგზავნის გრაფაში.

თუკი თქვენი საქმეს საბუთი ან ინფორმაცია დააკლდა, OFPRA მას უკან გიგზავნით. გეძლევათ მისი შევსებისთვის და გამგზავნისთვის დამატებითი 8 დღე. თუკი გამგზავნა არ მოხდა 8 დღეში, OFPRA დახურავს თქვენს საქმეს და საბუთი აღარ გაგიგრძელებათ.

თქვენ შეგიძლიათ OFPRA-ს პროცედურის ნებისმიერ მომენტში მიანლოთ დამატებითი საბუთები. წერილში მიუთითეთ თქვენი რეგისტრაციის ნომერი. მისამართის შეცვლის შემთხვევაში, გირჩევთ აცნობოთ OFPRA-ს უმოკლეს ვადებში. OFPRA გასაუბრებაზე დაბარებას და თქვენს გადაწყვეტილებას მის მიერ ცნობილ მისამართზე გამოგიგზავნით. შეინახეთ ოფისთან მიმონერის ასლები და ფოსტით სარგებლობის მტკიცებულებანი.

■ ოფისის მიერ საქმის მიღების შესახებ საბუთის გაცემა

თქვენი საქმე OFPRA-ს უნაკლოდ მიუვიდა. იგი გიგზავნით საქმის განხილვაში მიღების წერილს და განიჭებთ საქმის მიღების ნომერს. ამ წერილის მეშვეობით შეგეძლება თქვენი საბუთი პრეფექტურაში განაახლოთ.

■ მოთხოვნის ჩვეულებრივი ან დაჩქარებული პროცედურით განხილვა

თქვენი მოთხოვნა განხილვა ან ჩვეულებრივი, ან დაჩქარებული პროცედურით. დაჩქარებული პროცედურით განხილვის ვადა 15 დღეა. OFPRA-მ შეიძლება შეცვალოს პროცედურა თუ ამას თქვენი საქმე ან პირადი მდგომარეობა მოითხოვს. დაჩქარებული პროცედურით განხილვა იწყება ერთიანი მიმღები პუნქტიდან და OFPRA-ში გრძელდება. (იხილეთ პუნქტი 4.1).

OFPRA მიმართავს დაჩქარებულ პროცედურას როდესაც :

- თქვენს მიერ წარდგენილი საბუთები ან ინფორმაცია ყალბია ;
- თქვენ თავშესაფარი უკვე გაქვთ მოთხოვნილი სხვა პირადობით ;
- თქვენს მოთხოვნაში არ არსებულია მფარველობის საჭიროებასთან კავშირის მქონე ინფორმაცია ;
- თქვენს მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ არის თანმიმდევრული, მოდის წინააღმდეგობაში თავის თავთან, ყალბია ან თქვენს სამშობლოში ცნობილ მდგომარეობას არ შეესაბამება.

საქმის დაჩქარებული პროცედურით წარმოების გასაჩივრების შესაძლებლობა CNDA-ს წინაშე მოგეცემათ.


■ ოფისში გასაუბრება

თქვენი მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ თქვენ გასაუბრებაზე გამოძახება მოგივით.

გასაუბრებიდან განთავისუფლებული ხართ თუ :

- თქვენს მიერ წარდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს OFPRA-ს და მან გადაწყვიტა თქვენთვის მფარველობის მონიჭება ;
- თუ გამოცხადებაში თქვენი ჯანმრთელობა გიშლით ხელს.





გასაუბრებაზე OFPRA-ს ოფისში, Fontenay-sous-Bois-ში უნდა გამოცხადდეთ. გასაუბრება ჩაგიტარდებათ იმ ენაზე, რომელიც ფორმულარში მიუთითეთ.

გამოცხადებლობის შემთხვევაში აუცილებელია ოფისს 48 საათის განმავლობაში გააგებინოთ. წინაარმდეგ შემთხვევაში ამან შესაძლოა თქვენს საქმეზე უარყოფითად იმოქმედოს.

გასაუბრებაზე თქვენ შეგიძლიათ დაისწროთ ან ვეჭილი, ან ასოციაციის წარმომადგენელი, რომელიც გასაუბრების დამთავრების მერე წარადგენს შემჩნევებს. გასაუბრება არ გადაიდება თუ თქვენი თანდამსწრე დაიგვიანებს ან არ მოვა.

თუ სხვა სქესის თარჯიმანთან უფრო ლაღად იგრძნობთ თავს, შეგიძლიათ იგი ოფისს მოსთხოვოთ.

გასაუბრება კონფიდენციალურია. იგი ჩაინერება ოქმად და ხმად. ოქმის მოთხოვნა შესაძლებელია გადანყვეტილების მიღებამდე, ჩვეულებრივი პროცედურის დროს და გადანყვეტილებასთან ერთად, დაჩქარებული პროცედურის დროს. ხმოვანი ჩანაწერი შეიძლება გადმოგეცეთ OFPRA-ის მიერ უარის თქმის და უკანასკნელის გასაჩივრების შემთხვევაში.

✓ კონფერენც-გასაუბრება

შესაძლოა გეოგრაფიული სიშორის გამო გასაუბრება მანძილზე, ვიდრე კონფერენციით ჩაგიტარდეთ. ამ შემთხვევაში ვეჭილი ან ასოციაციის წარმომადგენელი თქვენს გვერდით იქნება, თარჯიმანი კი ოფისში. არსებობს გადამცემი პლატფორმა გუადალუპაში, საიდანაც იქნება მოსმენილი თქვენი საქმე.


■ ოფისის გადანყვეტილება

✓ ვადები ოფისის გადანყვეტილების მიღების ვადები სხვადასხვაა (15 დღიდან დაჩქარებული პროცედურისთვის, რემდენიმე კვირამდე ჩვეულებრივი პროცედურისთვის). ოფისის მხრიდან ხანგრძლივი დუმილი არ ნიშნავს თვენი განცხადების უარყოფას. თუ ოფისმა 6 თვის განმავლობაში ვერ მიიღო გადანყვეტილება თქვენს მოთხოვნაზე, იგი გაცნობებთ ამის შესახებ ფოსტით. იყავით ყურადღებით და ხშირად შეამოწმეთ ფოსტა.

✓ თუ თქვენი მოთხოვნა თავშესაფარზე თქვენს სასარგებლოდ გადაწყდა :

- ოფისი ლტოლვილად გცნობთ და გადანყვეტილებას დაკვეთილი წერილის მეშვეობით გაცნობთ.
- ან ისარგებლებთ შენაცვლებითი მფარველობით. ოფისი გადანყვეტილებას დაკვეთილი წერილის მეშვეობით გაცნობთ.





✓ თუ თქვენ მიიღეთ უარი თავშესაფრის მოთხოვნაზე

ოფოსი გამოგიგზავნით უარის გადაწყვეტილებას ფრანგულ ენაზე ან იმ ენაზე, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ. იქ მითითებული იქნება გადაწყვეტილების მიზეზები. უარის გადაწყვეტილებას თან დაერთვის გასაუბრების ასლი. თქვენ შეგიძლიაქთ გაასაჩივროთ უარი სასამართლოში CNDA.

იურიდიული დახმარება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ 15 დღის განმავლობაში მოითხოვეთ.

სასამართლოში სარჩელის 1 თვეში არ შეტანის შემთხვევაში იძულებული იქნებით დატოვოთ საფრანგეთი.

3.2. ოფოსის მიერ უარის თქმის შემთხვევაში ლტოლვილთა ეროვნული სასამართლოს მიერ (CNDA) საქმის განხილვა

■ საჩივრის წარდგენის ვადები

OFPRA-დან უარის მიღების შემდეგ თქვენ გეძლევათ ზუსტად 1 თვე სარჩელის CNDA-ში შესატანად. OFPRA-დან უარის თქმის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ იგი მფარველობის მოსაპოვებლად, ან მოითხოვოთ ლტოლვილის სტატუსი თუკი OFPRA-მ შენაცვლებითი მფარველობა მოგანიჭათ. ამ შემთხვევაში CNDA ვერ გაგიუქმებთ OFPRA-ის მიერ მონიჭებულ სტატუსს.


საჩივრის შეტანა შეგიძლიათ ან ჩვეულებრივი, ან დაკვეთილი წერილით. თუკი 1 თვე გადაგიცდათ და თქვენი სარჩელი სასამართლომ დაგვიანებით მიიღო, თქვენი საქმე დახურული იქნება.

■ საჩივარი

უნდა დაიცვათ შემდეგი პირობები :

- კარგად გაეცანით OFPRA-ის გადაწყვეტილების შინაარსს უკანა გვერდზე ;
- საჩივარი ფრანგულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი. მას თან თქვენი სახელი, გვარი, პროფესია, პირადი ბიოგრაფია, მისამართი და OFPRA-ის საქმის ნომერი უნდა ერთვას ;
- საჩივარს OFPRA-ის გადაწყვეტილების ასლი დაართეთ ;
- ახსენით არსობრივად რა მიზეზით მიგაჩნიათ OFPRA-ის გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ ;
- თან დაურთეთ თქვენი პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები. დედნები დაიტოვეთ ;
- აგრეთვე მიუთითეთ რომელ ენაზე გსურთ ჩატარდეს თქვენი საქმის სმენა სასამართლოში.





- თან დაურთეთ თქვენი მონაცოლის დამადასტურებელი საბუთების დედნები, ფრანგულ ენაზე ნათარგმნი, რომლებიც უკან თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში დაგიბრუნდებათ. ნოტარიულად სასამართლოს გადანაცვები და დაბადების მონომობები თარგმნეთ. უთარგმნელი საბუთები გამოყენებული არ იქნება.
- საჩივარი ხელმოწერილი უნდა იყოს. თუ არასრულწლოვანი ბრძანდებით, ხელმოწერა კანონიერი წარმომადგენლის უნდა იყოს.
- დაიტოვეთ თვითონ საჩივარის ასლი და მისი გაგზავნის მტკიცებულება ;
- CNDA-ს აცნობეთ მისამართის შეცვლა ;

სმენამდე სასამართლოს შეგიძლიათ მას მიაწოდოთ ნებისმიერი დამატებითი საბუთი. სმენაზე დაბარებული პირადად იქნებით.

თუ თქვენი საჩივარი წარმოადგენს OFPRA-ის გადანაცვების სერიოზულ კონტრარგუმენტს, CNDA-ს შეუძლია თქვენი დაბარების გარეშე უარყოს თქვენი საჩივრის თხოვნა.

■ საჩივრის მიღების შესახებ საბუთის გაცემა

CNDA, საჩივრის მიღების შემდეგ გიგზავნით საბუთს, რომელიც ადასტურებს მის მიერ თქვენი საჩივრის რეგისტრაციას და რომელიც გაძლევთ თქვენი საბუთის განახლების უფლებას სასამართლოს საბოლოო განაჩენის გამოტანამდე.

■ ვეჯილის დახმარება

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ უფასო ვეჯილს (ადვოკატს). სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს მის ხელფასს. მოთხოვნა OFPRA-ის გადანაცვებიდან 15 დღეში, ან საჩივართან ერთად უნდა გააგზავნოთ შემდეგ მისამართზე :


Cour nationale du droit d’asile
35, rue Cuvier
93558 MONTREUIL-SOUS-BOIS

თქვენ შეგიძლიათ თქვენს მიერ არჩეული ადვოკატის სახელი მიუთითოთ. მას მანამდე უნდა შეუთანხმდეთ. ხელფასს მას სახელმწიფო გადაუხდის.

■ სასამართლო მოსმენა

სმენაზე CNDA ერთი თვით ადრე, ხოლო დაჩქარებული პროცედურით 15 დღით ადრე დაგიბარებთ. სმენას მოსამართლე თავჯდომარეობს. მას თან გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის წარმომადგენელი ახლავს. თქვენ დაგისვამენ კითხვებს, მოისმენენ თქვენს მონაცოლს, რის მერე ადვოკატის მიეცემა თქვენი დაცვის საშუალება. თუ ოფისმა





დაჩქარებულ პროცედურას მიმართა ან თუ თქვენი მოთხოვნის მიუღებლობა გადაწყვიტა CNDA-ში თქვენ საქმეს 1 მოსამართლე განიხილავს 5 კვირის განმავლობაში. თქვენი მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია აღადგინოს კოლეგიალურობა თუ მიიჩნევს, რომ საქმე არ უნდა იყოს წარმოებული დაჩქარებული პროცედურით, არ უნდა იყოს მიუღებელი ან წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას.

სმენაზე თან გახლდებათ თარჯიმანი, რომელიც თქვენს ენაზე გადაგიტარებთ. გამოუცხადებლობის შემთხვევაში წინასწარ აცნობეთ სასამართლოს. შეგიძლიათ სმენის გადადება მოითხოვოთ საპატიო მიზეზის ახსნით, რაზეც თავჯდომარემ შეიძლება უარი განაცხადოს.

სენა საჯაროა, მაგრამ შეგიძლიათ მოითხოვოთ დარბაზის დახურვა.

■ სასამართლოს გადაწყვეტილება

CNDA თქვენს ენაზე და დაკვეთილი წერილით გაცნობებთ თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

CNDA-ს შეუძლია :

- გააუქმოს OFPRA-ის გადაწყვეტილება და მოგანიჭოთ ლტოლვის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა ;
- გააუქმოს OFPRA-ის გადაწყვეტილება შენაცვლებითი მფარველობის მინიჭების შესახებ და მოგანიჭოთ ლტოლვილის სტატუსი,
- უარი განაცხადოს თქვენს საჩივარზე ;
- ზოგიერთ შემთხვევაში ბათილად ცნოს OFPRA-ს გადაწყვეტილება და თხოვოს მას მეორადი განხილვა.

CNDA-ს გადაწყვეტილების გასაჩივრება საკასაციო ინსტანციაში შეიძლება (Conseil d'Etat), რაც დიდ დროს მოითხოვს და მოლოდინში ვერ დაგიცავთ სამშობლოში თქვენი გადაგზავნისგან. უფასო იურიდიული დახმარების მოთხოვნა შესაძლებელია. თხოვეთ რჩევა ადვოკატს.

3.3 საჩივრის მიუღებლობა და თავშესაფრის მოთხოვნის დასრულება

■ საჩივრის მიუღებლობა


OFPRA-მ შესაძლოა მიუღებლობის გადაწყვეტილება მიიღოს თუ :

- თქვენ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანამ მოგანიჭათ მფარველობა ;
- თქვენ რომელიმე სხვა ქვეყანამ მოგანიჭათ მფარველობა.

თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება.

მიუღებლობის გადაწყვეტილება გართმევთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას გასაჩივრების შემთხვევაშიც კი.





■ თავშესაფრის მოთხოვნის დასრულება

✓ დახურვის შემთხვევები

OFPRA შეუძლია თქვენი საქმე დახუროს თუ :

- თქვენ გამოთქვით საქმის წარმოების შეჩერების სურვილი ;
- მოთხოვნა 21 დღეში არ გაგზავნეთ ან არ გამოცხადდით გასაუბრებაზე ;
- უარს ამბობთ ინფორმაციის მიცემაზე როცა ამას თქვენი საქმის შესწავლა მოითხოვს ;
- ვერ გიკავშირდებიან იმის გამო, რომ თქვენი მისამართის შეცვლა OFPRA-ს დროულად არ აცნობეთ.

საქმის დახურვის შემთხვევაში გერთმევათ საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება.

✓ ხელახალი გახსნა

საქმის დახურვიდან 9 თვის განმავლობაში შეგიძლია მისი ხელახალი გახსნა მოითხოვოთ, რისთვისაც პრეფექტურაში ხელახალი რეგისტრაციის გასავლელად უნდა გამოცხადდეთ.

8 დღის განმავლობაში უნდა აცნობოთ OFPRA-ს საქმის ხელახალი გახსნის სურვილი.

თუ ხელახალ გახსნას 9 თვის განმავლობაში მოითხოვთ, მოგეცემათ საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელახალი გახსნის თხოვნა განხილული იქნება როგორც მეორადი განხილვის თხოვნა (იხილეთ პუნქტი 3.4.).

3.4. მეორადი განხილვა


CNDA-ს მიერ უარის განაცხადის ან სასამართლოში საჩივარის არ შეტანის შემთხვევაში, თქვენ გეძლევათ საქმის მეორადი განხილვის საშუალება თუ საქმეს ახალი ელემენტი შეემატა, ანუ :

- თქვენს საქმესთან კავშირში არსებული ელემენტი, ანუ ამბავი მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილების მერე, ან მანამდე, მაგრამ თქვენამდე ინფორმაცია ამ გადაწყვეტილების მერე მოვიდა ;
- ეს ახალი ელემენტი სერიოზულ საფრთხეს უნდა გიქმნიდეთ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში.

რჩევისთვის ადვოკატს ან ასოციაციას მიმართეთ. რეგისტრაციისთვის გამოცხადდით პრეფექტურაში. 8 დღის განმავლობაში მეორადი განხილვის თხოვნით OFPRA-ს მიმართეთ. თუ თქვენს თხოვნას აკლია ან საბუთი ან ინფორმაცია, მოგეცემათ მისი შევსებისთვის 4 დამატებითი დღე.

თუ OFPRA-მ მიიღო თქვენი თხოვნა, იგი აგრძელებს მის შესწავლას. თუ დადგინდა, რომ თქვენს მიერ მეორადი განხილვის თხოვნას პირველი თავშესაფრის მოთხოვნის მოთხოვნაზე






მეტი შანსი არ გააჩნია, OFPRA უარის გადანწყვეტილებას მიიღებს. თქვენი საქმე დაჩქარებული პროცედურით წარიმართება.

თუ აღმოჩნდა, რომ მეორადი განხილვა მხოლოდ თქვენი სამშობლოში გადაგზავნის თავიდან აცილების მიზნით მოითხოვეთ, OFPRA თქვენს თხოვნას მიუღებლად მიიჩნევს. OFPRA-ის გადანწყვეტილება გართმევთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას, გასაჩივრების შემთხვევაშიც კი.





4. თავშესაფრის მაძიებლის მარშრუტი

4.1. თავშესაფრის მაძიებლის დაკვალიანება

■ პირველი მიღება და დაკვალიანება

OFPPA-ში თავშესაფრის მოთხოვნის გაგზავნამდე თქვენ უნდა მიმართოთ ერთიან მიმღებ პუნქტს, რომელშიც პრეფექტურის და იმიგრაციის და ინტეგრაციის ოფისის თანამშრომლები მუშაობენ. საფრანგეთის ტერიტორიაზე სულ 34 ამგვარი ერთიანი მიმღები პუნქტია (იხილეთ დანართი). ერთიან მიმღებ პუნქტში რომ მიგიღონ აუცილებელია მიმართოთ რომელიმე მიღებამდე დამაკვალიანებელ ასოციაციას, რომლის მისამართს ერთიან მიმღებ პუნქტში მოგცემენ. მიღებამდე დამაკვალიანებელი ასოციაციას თქვენი ადმინისტრაციულ საქმეებში დახმარება აკისრია.

✓ მიღებამდე დამაკვალიანებელი ასოციაციაციები

მათ აკისრიათ :

- ელექტრონული ფორმულარის შევსება სადაც მითითებულია თქვენი პირადობა და ოჯახის შემადგენლობა ;
- ერთიან მიმღებ პუნქტში მისასვლელად შეხვედრის დანიშვნა. შეხვედრა 3 დღეში დაგენიშნებათ. თუ ბევრი მომთხოვნია შესაძლოა ვადა 10 დღემდე გაიზარდოს. შეხვედრაზე დაგვიანებამ შესაძლოა შეხვედრა გააუქმოს, ამიტომ შეხვედრაზე დროულად გამოცხადდით ;
- სასაბუთო სურათების გადაღება.

ეს ინფორმაცია გადაეგზავნება ერთიან მიმღებ პუნქტს.

ყურადღება : შეხვედრაზე დაგვიანებამ შესაძლოა შეხვედრა გააუქმოს, ამიტომ შეხვედრაზე დროულად გამოცხადდით.

✓ ერთიანი მიმღები პუნქტი (guichet unique)

ერთიან მიმღებ პუნქტში თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის დარეგისტრირება 3 ეტაპად იყოფა.


პირველი ეტაპის დროს პრეფექტურის თანამშრომელი ამონმებს თქვენს მიერ მიღებამდე დამაკვალიანებელ ასოციაციას მიეცემულ ინფორმაციას.

ხდება ასევე თქვენი 10 თითის ანაბეჭდების აღება¹ და პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენა.

გასაუბრების შემდეგ თქვენ გეცნობათ შემდგომი პროცედურა. თუ აღმოჩნდა, რომ თქვენზე პასუხისმგებელი არა საფრანგეთი არამედ სხვა ქვეყანაა, პროცედურა დუბლინი 3-ის წესით წარიმართება (იხილეთ პუნქტი 2.1). წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მოთხოვნას OFPPA

¹ აუცილებელია 14 წლის ასაკიდან





განხილავს ჩვეულებრივი ან დაჩქარებული პროცედურით. უკანასკნელის ფარგლებში განხილვის ვადები 15 დღე არის, მაგრამ ჩვეულებრივი პროცედურის გარანტიებით ისარგებლებთ.

თქვენი საქმე განხილვა ავტომატურად დაჩქარებული პროცედურით 2 შემთხვევაში :

- თუ თქვენ ბრძანდებით უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქე. უსაფრთხო ქვეყნების სია იხილეთ OFPRA-ის საიტზე ;
- თუ თქვენ მეორედ ითხოვთ საფრანგეთში თავშესაფარს.

თქვენი საქმე განხილვა დაჩქარებული პროცედურით იმ შემთხვევაში თუ :

- უარს ამბობთ ანაბეჭდების ჩაბარებაზე ;
- წარადგენთ ყალბ საბუთებს ;
- თქვენი მორიგე მოთხოვნა პირადობის შეცვლით ;
- საფრანგეთში ჩამოსვლიდან 120 დღის მერე მოითხოვთ თავშესაფარი ;
- ითხოვთ თავშესაფარს სამშობლოში ძალით დაბრუნების თავიდან ასაცილებლად ;
- თქვენი ქვეყნისთვის წარმოადგენთ საფრთხეს.

რეგისტრაციის შემდეგ თქვენ გეძლევათ საბუთი და OFPRA-ში გასაგზავნი ფორმულარი (იხილეთ პუნქტი 3-1).

მეორე ეტაპის დროს იმიგრაციის და ინტეგრაციის აგენტი ადგენს თქვენს პირად მდგომარეობას (იხილეთ პუნქტი 4.1.), გარდა თქვენი პრობლემისა, რომელმაც სამშობლოს დატოვება გაიძულათ.

თუ ჯერ არ ხართ დაბინავებული, თანამშრომელი დაიწყებს თქვენთვის საცხოვრებლის ძებნას (იხილეთ პუნქტი 4.2).

ასევე გენიშნებათ თავშესაფრის მაძიებლის ფულადი დახმარება (იხილეთ პუნქტი 5.1).

✓ ერთიანი მიმღები პუნქტის შემდგომი დაკვალიანება

საცხოვრებელ ადგილზე თქვენ შემოგთავაზებენ შემდგომ დაკვალიანებას. ეს იქნება ან ლტოლვილთა მიმღები ცენტრი (CADA) ან სხვა სტაბილური საცხოვრებელი.


თუ თქვენ სხვაგან ხართ დასახლებული, იმიგრაციის და ინტეგრაციის ოფისი (OFII) მოგცემთ დამაკვალიანებელი სტრუქტურის მისამართს. ასეთი სტრუქტურა გეხმარებათ თქვენი მოთხოვნის ჩამოყალიბებაში და გაგზავნაში.

■ მიღების მატერიალური პირობები

OFII თქვენ გთავაზობთ მიღების მატერიალურ პირობებს, რომლებიც მოიცავენ :

- თქვენი და ოჯახის წევრების დაბინავებას ;
- ადმინისტრაციულ დაკვალიანებას და დახმარებას ;
- თავშესაფრის მაძიებლის ფულად დახმარებას, რომელიც თქვენი ოჯახის შემადგენლობას იქნება მორგებული.





თუ თქვენი სხვა ქვეყანაში გადაგზავნა გადაწყდა, მატერიალური პირობებით გადაგზავნის დღემდე ისარგებლებთ. უარის თქმის შემთხვევაში თქვენ სამუდამოდ დაკარგავთ მატერიალური პირობებით სარგებლობის საშუალებას.

■ საჭიროებების შეფასება და გათვალისწინება

თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ OFII-ს მუშაკი მოგისმენთ და შეაფასებს თქვენს საჭიროებებს. გასაუბრება კონფიდენციალურია. დაგესმებათ კითხვები რათა გამოირკვეს თქვენი განსაკუთრებული საჭიროებები.

პასუხის გაცემის იძულებული არ ხართ. თქვენი განსაკუთრებული საჭიროება გათვალისწინებული დარჩება.

თქვენი სამედიცინო ისტორია, თუკი თან გექნებათ, გადაეცემა OFII-ს ექიმს, რომელიც დაასკვნის არის თუ არა საჭირო თქვენი სამედიცინო დაწესებულებაში განწესება. თუ ავად ბრძანდებით უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში იქნებით გადაყვანილი.

OFII OFPRA-ს თქვენ განსაკუთრებულ საჭიროებებს თქვენივე თანხმობით აცნობს, რათა მან ისინი გაითვალისწინოს.

თქვენი განსაკუთრებული საჭიროება თავშესაფრის მოთხოვნის მანძილზე გათვალისწინებული იქნება სოციალური მუშაკების მიერ.

4.2. თავშესაფრის მაძიებლის საცხოვრებელი ადგილი

■ საცხოვრებელი ადგილები

საფრანგეთში 50 000 მეტი თავშესაფრის მაძიებლისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილია. მათ შორის სასტუმრო ოთახები, ლტოლვილთა მიმღები ცენტრები (CADA), ან საერთო საცხოვრებლები.


CADA-ში ან სხვა სასწრაფო წესის დაწესებულებაში შესაძლოა ზოგიერთი ადგილი სხვა მაცხოვრებლებთან საერთო იყოს (სამზარეულო, ვანნა-ტუალეტი).

CADA-ში და ზოგიერთ სასწრაფო წესის დაწესებულებაში თქვენ დაგენიშნებათ ადმინისტრაციული და სოციალური დახმარება, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს.

■ დასახლებისთვის დაკვალიანება

თუ თქვენ დათანხმდით მიღების მატერიალურ პირობებს, OFII თქვენ შემოგთავაზებთ საცხოვრებელ ადგილს საფრანგეთში საცხოვრებელი ადგილების დაკავებულობის გათვალისწინებით. ადგილის არარსებობის შემთხვევაში თქვენ შემოგთავაზებენ სასტუმრო ოთახს.





საცხოვრებელს საფრანგეთის მასშტაბით შემოგთავაზებენ. სხვა რეგიონში ან დეპარტამენტში გადასვლაზე უარის თქმის შემთხვევაში ფულადი დახმარება მოგეხსნებათ.

დაუბინავებლობის შემთხვევაში აკრიფეთ სოციალური სამსახურის უფასო ნომერი 115.

ხშირად ნომერი დაკავებულია, ასე რომ გაიმეორეთ ზარი.


■ საცხოვრებლის განთავისუფლება

თავშესაფრის მაძიებელთათვის განკუთვნილ საცხოვრებელ სტრუქტურაში ცხოვრების უფლება გაქვთ CNDA-დან უარის მიღებამდე, რის შემდეგაც საცხოვრებელი დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ. თუკი თავშესაფრის მოთხოვნის პასუხი დადებითია, საცხოვრებელი 3 თვის თავზე უნდა გაანთავისუფლოთ. თხოვნის შემთხვევაში საცხოვრებელში დარჩენის უფლება დამატებითი 3 თვით გაგიგრძელებათ.

თუ საცხოვრებელს ვადებში არ გაანთავისუფლებთ, პრეფექტურა სასამართლოს თქვენი გადაწყვეტის უფლებას მოსთხოვს.

OFPRA-ის ან CNDA-ს უარყოფითი პასუხის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ სამშობლოში დაბრუნება მოითხოვოთ. დაბრუნება დაგიფინანსდებათ.





5. თავშესაფრის მაძიებლის უფლებები

5.1. თავშესაფრის მაძიებლის ფულადი დახმარება (ADA)

თავშესაფრის მაძიებლის ფულადი დახმარება 2015 წლის 29 ივლისის კანონით დაარსდა და 2015 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა. იგი დროებით ფულად დახმარებას (ATA) და თვიური საჭიროების ფულად დახმარებას (AMS) ჩაენაცვლა.

ფულადი დახმარების მართვა OFII-ს ეკისრება, ხოლო თანხას მომსახურების და გადახდის სააგენტო იხდის.

თანხა თავშესაფრის მოთხოვნის შესწავლის განმავლობაში ან თავშესაფრის მოთხოვნის შესწავლის პასუხისმგებელ სხვა ქვეყანაში გადაგზავნამდე გერიცხებათ. იგი ასევე ერიცხება დროებითი მფარველობის მქონე უცხოელებს და უცხოელთა და თავშესაფრის მაძიებელთა კოდექსის 316-1 მუხლით გათვალისწინებული მფარველობით მსარგებელ პირებს (პროქსენიტოზმის ან ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი).

■ დახმარების დანიშვნის პირობები

ფულადი დახმარების მისაღებად თქვენ უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს :

1- თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთის მქონე როგორც :

- ა) თავშესაფრის მაძიებელი საფრანგეთში (უცხოელთა და თავშესაფრის მაძიებელთა კოდექსის 741-1 მუხლი),
- ბ) დუბლინი 3-ის პროცედურაში მყოფი თავშესაფრის მაძიებელი (უცხოელთა და თავშესაფრის მაძიებელთა კოდექსის 742-1 მუხლი),
- გ) დროებითი მფარველობით მსარგებელი (უცხოელთა და თავშესაფრის მაძიებელთა კოდექსის 743-1 მუხლი),
- დ) პროქსენიტოზმის ან ადამიანით ვაჭრობის უცხოელი მსხვერპლი (უცხოელთა და თავშესაფრის მაძიებელთა კოდექსის 316-1 მუხლი) ;

2- უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის ;


3- თუ ხართ თავშესაფრის მაძიებელი საფრანგეთში OFII-ს მიერ შემოთავაზებული მიღების მატერიალური პირობებზე თანხმობა უნდა გქონდეთ განცხადებული.

■ დახმარების მოთხოვნა

თუ ხართ თავშესაფრის მაძიებელი ფულადი დახმარება დაგიცხებათ ერთიან მიმღებ პუნქტში თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ და თუ OFII-ს მიერ შემოთავაზებული მიღების მატერიალური პირობებზე თანხმობას განაცხადებთ.

თანხის გადახდა დაიწყება იმის მერე რაც OFPRA თქვენს თავშესაფრის მოთხოვნას მიიღებს, ანუ რეგისტრაციის მერე 21 დღის შემდეგ.





თუ თქვენ 1- გ) და დ) კატეგორიას მიეკუთვნებით, თქვენი მოთხოვნა OFII-ის იმ ტერიტორიალურ წარმომადგენლობაში უნდა გაკეთდეს სადაც თქვენ ცხოვრობთ (OFII-ის ტერიტორიალურ წარმომადგენლობებს დანართში გაეცანით).

მოთხოვნის ფორმულარს იქვე მოგცემენ. შეავსეთ და დაურთეთ თქვენი პირადობის, შემოსავლის, საცხოვრებლის დამადასტურებელი და ასევე ოჯახის შემადგენლობის აღმსახველი საბუთები.

■ დახმარების თანხა

თავშესაფრის მაძიებლის ფულადი დახმარების მისაღებად თქვენი შემოსავალი აქტიური სოლიდარობის შემოსავლის, RSA-ს თანხას არ უნდა აღემატებოდეს.

თანხა ანგარიშდება ოჯახის შემადგენლობის, შემოსავლის და საცხოვრებლის ტიპის გათვალისწინებით.

■ დახმარების მიღება

ფულადი დახმარება პროცედურის დამთავრებამდე გერიცხებათ, ანუ ან OFPRA-ის მიერ ერთ თვეში გაუსაჩივრებელი უარის, ან CNDA-ს უარის მიღებამდე.

იგი გერიცხებათ უარის შემდგომი თვის ამონურვამდე, ან დუბლინი 3 პროცედურის შემთხვევაში სხვა ქვეყანაში გადაგზავნამდე.

თუ თქვენ დროებითი მფარველობით სარეგლობთ, დახმარება მფარველობის განმავლობაში გერიცხებათ.

თუ თქვენ პროქსენიტობის ან ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ხართ, დახმარება 12 ტვის განმავლობაში გერიცხებათ. იგი განახლებადია თუ თქვენს საბუთს ვადა არ აქვს გასული.


დახმარება შეიძლება :

- შეგიჩერდეთ თუ საპატიო მიზეზის გარეშე დატოვებთ საცხოვრებელი, თუ უწყებაში გამოცხადებაზე თქვით უარი, არ უპასუხებთ ინფორმაციის მოთხოვნას ან არ გამოცხადდით პირად გასაუბრებზე ;
- ჩამოგერთვით თუ თქვენ გააყალბებთ თქვენი შემოსავლები, ოჯახზე ცრუ ინფორმაცია წარმოადგინებთ ან თქვენი ქცევა საცხოვრებელში არ შეესაბამება მის დებულებას ;
- არ დაგენიშნოთ თუ მოითხოვთ საქმის მეორადი განხილვა, ან დახმარებისთვის დაგვიანებით მიმართეთ.

■ გასაჩივრება

აუცილებლად აცნობეთ OFII-ს ნებისმიერი მდგომარეობის, გინდ საცხოვრებელთან, გინდ ოჯახთან და გინდ დასაქმებასთან დაკავშირებული ცვლილება.





ფულადი დახმარების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად მიმართეთ თვითონ OFII-ის იერარქიას, ან ადმინისტრაციულ სასამართლოს.

5.2. სწავლა-განათლება

განათლების სისტემა თავმესაფრის მაძიებელთათვის საფრანგეთის მოქალაქეებისთვის განკუთვნილი სისტემის იდენტურია. განათლებისა და მეცნიერების კოდექსის მუხლი 111-2-ს შესაბამისად "ყველა ბავშვს აქვს საგანმანათლებლო სისტემაში, ოჯახის როლის პარალელურად, განათლების მიღების უფლება".

"განათლება სავალდებულოა ფრანგი და უცხოელი, ორივე სქესის ბავშვებისთვის, 6-დან 16 წლამდე" (მუხლი 131-1 ზემოთ აღნიშნული კოდექსი). სკოლაში ჩარიცხვა ქალაქის მერიაში ხდება. თქვენ უნდა წარმოადგინოთ ბავშვის დაბადების მონობა, თქვენი საცხოვრებელი ადგილის საბუთი და ბავშვის სავაქცინაციო წიგნაკი. რეგისტრაცია უშუალოდ თქვენ საცხოვრებელთან უახლოვეს საშუალო განათლების დაწესებულებაში (კოლეჯი ან ლიცეუმი) კეთდება. ამაში თქვენ საცხოვრებელში არსებული სოციალური სტრუქტურა ან OFII-თან შეთანხმებული ასოციაცია დაგეხმარებათ.

5.3. ჯანდაცვა

■ სასწრაფო დახმარება

